

## საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები


(სოფლები საკორინთლო, ქვემო ჭალა, ჯარიაშენი, საქაშეთის დევნილთა ჩასახლება)

რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ადმინისტრაციული „საზღვრები“ დრო და დრო იცვლება. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები 2021 წლის 30 ივლისს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში, გორის და კასპის მუნიციპალიტეტში - საკორინთლოში, ქვემო ჭალაში, ჯარიაშენში და ქარელის მუნიციპალიტეტის საქაშეთის დევნილთა ჩასახლებაში იმყოფებოდნენ. საკორინთლოს სამეურნეო მიწები მავთულხლართებით არის შემოსაზღვრული. მოსახლეობის ბაღებიდან მკაფიოდ იკითხება წარწერა იქვე ახლოს ჩარჭობილ ბანერზე - „Республика Южная Осетия.“ იქ, სადაც მავთულხლართები არაა (მაგალითად, სოფელ ჯარიაშენში), ოკუპაციის დასტური რუსი სამხედროების მიერ გავლებულ „ოკუპაციის ხნულებია.“ ჩვენს მიერ მონახულებული სოფლების და დასახლებების მაცხოვრებელთა ძირითადი წუხილი ეკონომიკური სიდუხჭირეა, რასაც ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უყურადღებობაც ემატება.



საკორინთლო აღმოსავლეთ საქართველოში, კასპის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. 2014 წლის მონაცემებით, სოფელში 114 ადამიანი ცხოვრობს (61 კაცი და 53 ქალი). ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, რომ 10 წელზე მეტია, სოფლის სკოლა დაიხურა; არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი; სოფელს არც სარწყავი წყალი აქვს. წყლის ცენტრალურად განაწილება ოკუპირებული ცხინვალიდან ხდებოდა. ვინაიდან მდინარის სათავე საოკუპაციო ხაზს იქით მოექცა, წყლის პრობლემის მოგვარება გართულდა. სოფელს არ აქვს

ამბულატორია, აფთიაქი, სასურსათო მაღაზია, არც ტრანსპორტის მოსაცდელი. აქ ახალგაზრდების ნახვა შეუძლებელია. სოფელში ძირითადად ხანდაზმული ადამიანები არიან შემორჩენილები. მაცხოვრებლების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი საოკუპაციო ხაზს იქითაა. ადგილობრივები ძირითად პრობლემად ფინანსურ სიდუხჭირეს და უსაფრთხოებას ასახელებენ.



შეხვედრა საკორინთლოს მაცხოვრებლებთან

სოფელ ქვემო ჭალაში 1,075 მაცხოვრებელია, 536 კაცი და 539 ქალი. ადგილობრივებისთვის მთავარი პრობლემა სარწყავი სისტემის არარსებობაა. ქვემო ჭალას მაცხოვრებლებს პრობლემები საკორინთლოს პრობლემებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ქვემო ჭალა თემის ცენტრია და საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლების ვიზიტის დროს, სოფელში მდებარე საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობდა, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში დასრულდება.



სოფელი ქვემო ჭალის ბაღის რეაბილიტაცია

სოფელი ჯარიაშენი შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში, ახალუბნის თემში მდებარეობს. 2014 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში სულ 235 მაცხოვრებელია (118 კაცი და 117 ქალი). მესტუმრიშვილების სახლი, რომელიც ვიზიტისას მოვინახულეთ, სოფლის განაპირას დგას. სახლთან ახლოს გადის საოკუპაციო ძალების მიერ

გავლებული ხნული, რომლის იქითაც ოკუპირებული ტერიტორია იწყება. ადგილობრივების მიწის ნაკვეთები ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული.<sup>1</sup>



სოფელიჯარიაშენი, შეხვედრა ელიზბარ მესტუმრიშვილთან

სოფელში გარე განათება ახლახან გაკეთდა, თუმცა არასრულად. მესტუმრიშვილის სახლამდე, რომელიც სოფლის ბოლოს მდებარეობს, არც გზა მიდის და არც გარე განათების ბოძებია. გაურკვეველია, ეს სარემონტო სამუშაოების დროს გაწეული „ეკონომიით“ არის გამოწვეული თუ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს საოკუპაციო ხაზთან უშუალო სიახლოვეს ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ფაქტია, რაც უფრო უახლოვდები რუსი სამხედროების მიერ გავლებული „ოკუპაციის ხნულს“, სოფელში განლაგებული ნაგვის ურნები სულ უფრო ძველი და დაზიანებულია, გზა წყდება, არც გარე განათების ბოძებია. რჩება განცდა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ნებაყოფლობითაა მიტოვებული.



ხნული - საოკუპაციო საზღვარი

<sup>1</sup> საქსტატი, „საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“, ხელმისაწვდომია <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>, ნანახია 15.08.2021

სოფლის მაცხოვრებლები მეზობელ სოფელთან სადაო სამოვრებზე წუხან, რომელიც, მათი განცხადებით, ჯარიაშენს ეკუთვნოდა, თუმცა, ცალკეული პირების კერძო ინტერესის გამო, სამოვრით სარგებლობას ვეღარ ახერხებენ. პრობლემას არქივის დაკარგული საბუთები ართულებს.

შიდა ქართლის დევნილთა ჩასახლებებს შორის, ყველაზე რთული მდგომარეობა **საქაშეთის დევნილთა დასახლებაშია**, სადაც 85 ოჯახი ცხოვრობს.<sup>2</sup> უამრავ პრობლემას შორის, დევნილები ყველაზე მეტად იმაზე წუხან, რომ მათთვის განაწილებული და სარგებლობაში მქონე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, დაპირების მიუხედავად, საკუთრებაში ჯერ არ გადაუციათ. დასახლება ახალგაზრდებისგან დაცლილია. იმის გამო, რომ საქაშეთი მუნიციპალური ცენტრისგან დაშორებულია და მუნიციპალური ტრანსპორტი არ ემსახურება, ყველაზე მწვავე პრობლემა უმუშევრობაა. დევნილთა დასახლების მაცხოვრებლების სამუშაო სეზონურია და ძირითადად საქაშეთში ფიზიკურ შრომას გულისხმობს. გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები ართულებს სამედიცინო სერვისებზე, მედიკამენტებზე, განათლებაზე და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობას. დასახლებაში არაა ამბულატორია და აფთიაქი.



დასახლებას გაუმართავი სანიაღვრე სისტემა აქვს, რის გამოც ერთსართულიანი სახლები მუდმივად დანესტილია. მოუწესრიგებელია შიდა გზები. 2008 წლის შემდეგ გზის მხოლოდ მოხრეშვა მოხერხდა. დევნილები წუხან, რომ კოტეჯებამდე მისვლა ქვეითებისთვისაც პრობლემურია, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში. დასახლებაში გასამართია სასმელი

<sup>2</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „საქართველოს მთავრობის განკარგულება №2149“, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2628942?publication=0>, ნანახია 15.08.2021.

წყლის სისტემა, დევნილებს პერიოდულად ეზღუდებათ ელექტროენერჯის მიწოდება, რაც წყლის შეწყვეტასაც გულისხმობს.



ისევე, როგორც ბევრგან, ჩასახლებაშიც აწუხებთ მცირემიწიანობა და მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის სირთულე; საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის და სათანადო გარემო პირობების არ არსებობა.

ტრადიციულად, ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლების შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა წარმოადგენდა. ამიტომ მცირემიწიანობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა დევნილთა ოჯახების და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებლებისთვის. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების და სამოვრების პრობლემის აღმოფხვრაა.

გამოკითხული დევნილების და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებთა ნაწილის განცხადებით, მათი ყოველთვიური შემოსავალი საუკეთესო შემთხვევაში, 400 ლარს არ აღემატება, მინიმუმ კი - 45-100 ლარია. უმუშევრობა უარყოფითად აისახება დევნილთა ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. დასახლებები და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლები რაიონული ცენტრებიდან მოშორებით მდებარეობს, რის გამოც ახალგაზრდობის უმრავლესობა დასაქმებისთვის სხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ არის წასული.